

მეამეხისი

ოფიციალური განცხადება

უმაღლესი წესკრიბები.

ყოვლად უსამღვდელოესო, პეტერბურგის მიტროპოლიტო პალლადი:

ბრწყინვალე მღვდელ-მთავრული თქვენი სამსახური, რომელიც განსხვავებულია გულსმოდგინე შრომით სასარგებლოდ ეკლესიისა და ერთგულებით ტახტისა და სამშობლოსადმი, ყოველთვის იქცევა მწყალობელ ყურადღებას ღვთივ განსვენებული თუ ვაგუსტოეს ჩემ პაპისას და მშობლისას, იმპერატორთა ალექსანდრე მეორე და ალექსანდრე მესამისას. იმპერატორის ალექსანდრე მესამის რწმუნებით იქმნით რა მიწოდებულ აღსასრულებლად მაღალთა მოვალეობათა, რომელიც აწევს უწმინდესი სინოდის უპირველეს წევრს, თქვენ დაუღალავად და ნაყოფიერად განაგებთ პეტერბურგის ეპარქიას, აღლევთ რა თქვენდამი რწმუნებულ მწყემსთ ღირსს საეკლესიო მსახურებათა სისრულით და სიმშვენიერით აღსრულებისას.

გულითადმა პატივისცემელმა თქვენი განსხვავებული სამსახურისამ, სამართლიანად მივიჩნიეთ რა პატივი გცეთ თქვენ ჩემი მონარქიული ყურადღების და წყალობის განსაკუთრებული ნიშნით, უმოწყალებსად გიბოძებთ თქვენ ამასთანავე წარმოგზავნილ აღმაზის ჯვარს მიტრაზე სატარებლად.

ვანდობ რა ჩემს თავს თქვენს ლოცვას, დავრჩებით თქვენდამი მწყალობელი.

II.

ყოვლად უსამღვდელოესო კიევის მიტროპოლიტო იოანნიკე:

ხანგრძლივი სამსახური თქვენი ეკლესიისა, ხელმწიფეთა და სამშობლოსადმი იმპერიის სხვა და სხვა ადგილებში და მღვდელობის და მღვდელ-მთავრობის სხვა და სხვა ხარისხზე, აღესილია სხვა და სხვა ფერი და კეთილის მყოფელი მოღვაწეობით. ღირსეულად მღვდელ-მთავრობ რა რუსეთის უძველეს სამიტროპოლიტო კათედრაზე, თქვენ იძლევით მაგალითს მტკიცე გულსმოდგინებისას და განათლებული თავონრობითი გამგეობისას; დაუღალავად შრომობთ რა ამავე დროს, რათა კეთილად განაგოთ სასულიერო სასწავლებლები და სამრევლო სკოლები, რომ ამ სკოლების წყალობით დაიცვათ მართლმადიდებელი ხალხი დამღუპველი მწვალებლობისაგან და გავრცელდეს ქეშმარიტი სასულიერო განათლება. როგორც წვერი უწმინდესი სინოდისა თქვენ ბევრს ეწევით, რათა კეთილ წარმატებით განხილულ და გადაწყვეტილ იქმნენ საქმეები სამშობლო ეკლესიის უმაღლესი გამგეობის შესახებ.

თქვენი სამსახურისადმი ჩემი მაღლიერი ყურადღების და პატივისცემის გამოხატვადგებლად, უმოწყალებსად გიბოძებთ თქვენ ამასთანავე წარმოგზავნილ ჯვარს მიტრაზე სატარებლად.

მივანდობ რა ჩემს თავს თქვენს ლოცვას, დავრჩებით თქვენდამი მწყალობელი.

III.

უსამღვდელოესო საქართველოს ექსარხოსო,
მთავარ-ეპისკოპოსო ქართლისა და კახეთისა
გლადიმირ:

დაუცხრომელმა გულსმოდგინებამ და დაულა-
ლაგმა შრომამან თქვენთან თქვენდამი რწმუნებული
სხვა და სხვა ტომის სამწყსოის კეთილ განწყობისა-
თვის, კავკასიის მხარის საეკლესიო საქმეების ფრიად
საძნელო გამგეობის საქმეში, — განსაკუთრებულმა
გულსმოდგინებამან თქვენთან ღვთის სიტყვის ქადა-
გების საქმეში, და აგრეთვე განათლებულმა მზრუნ-
ველობამ, რათა აღადგინოთ და დაიცვათ საქართვე-
ლოში საეკლესიო ძველი ნაშთები, მოგიპოვათ
თქვენ ჩვენი ყურადღება და წყალობა.

ვადღევეთ რა სიმართლეს განსაკუთრებულ მსა-
ხურებათა თქვენთა, უმოწყალებად გიბოძებთ თქვენ
ამასთანავე წარმოგზავნილ ძვირფასი ქვებით მორთულ
პ ა ნ ა გ ი ა ს .

ვანდობ რა ჩემს თავს თქვენს ლოცვას, დავშ-
თებით თქვენდამი მწყალობელი.

ნამდვილს მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის
საკუთარი ხელით აწერია:

„ნაკლავს“

მოსკოვში,
14 მაისს. 1896 წ.

ხელმწიფე იმპერატორმა, სინოდის ობერ-პრო-
კურორის ყოვლად უქვემდებარეობის მოხსენები-
სამებრ, თანახმად უწმიდესი სინოდის დადგენილო-
ბისა, ამა მაისის მე-14 დღეს, უმოწყალებად ინება
დაჯილდოება სასულიერო პირთა წარჩინების ქვემოთ
აღნიშნული წიშნებითა:

ა) ეპარქიის უწყებამი სამსახურისათვის:


საქართველოს საექსარხოსოში: ა) წმ. ვლადიმირის
მე-3 ხანისხას ორდენით: წევრი ქართლ-კახე-

თის სინოდალნი კანტორისა არქიმანდრიტი ნიკო-
ლოზი; წინამძღვარი ხოპის მიძინებელს მონასტრის
გურია-სამეგრელოს ეპარქიისა, არქიმანდრიტი სი-
მეონი; ბ) წმ. ვლადიმირის მე-4 ხანისხას ორდენით:
დაბა ყვირილის ეკლესიის, შორაპნის მახრისა, დეკ.
დავით დამბაშიძე; დაბა ონის ეკლესიის, რაჭის მაზ-
რისა, დეკ. ალექსი გეორგობიანი; გ) წმ. ანას
მეორე ხანისხას ორდენით: თბილისის სიონის კა-
თედრის ტაძრის დეკანოზი გრიგოლ ჰეტრიევი; ქ.
თბილისის აისორის თომას ეკ. დეკ. დავით გურგე-
ნიძე; დ) წმ. ანას მე-3 ხანისხას ორდენით — წი-
ნამძღვარი ხირსის სტეფანეს მონასტრისა, ქართლის
ეპარქიისა, არქიმანდრიტი ლეონიდე; წინამძღვარი
ახალი ათონის სიმონ კანანელის მონასტრისა, სუ-
ხუმის ეპარქიისა, არქიმანდრიტი იერონი; პირველი
კვლონიის წმ. გიორგის ეკ., გურია-სამეგრელოს
ეპარქიისა, მღვდელი ხოჭოლავა; 1) მკერდის მორ-
თული ჯვრით, მათი უდიდებულესობის კაბინეტიდან
— წინამძღვარი ბოდბისის წმ. ნინოს დედათა მონას-
ტრისა იგუმენია იუვენალია.

განჩინებანი უფ. სინოდისა.

I. 14—27 მარტიდან 1896 წ. № 917, და-
ჯილდოებისათვის სასულიერო წოდების პირთა
სასულიერო უწყებამი სამსახურისათვის.

უქახისამებრ მათი იმპერატორებითი უდიდებუ-
ლესობისა, უუწმიდესმა უუმართებელესმა სინოდმა
გოისმინა: წარდგინებანი ეპარქიების მღვდელთ მთავ-
რებისა, მოსკოვის სინოდალნი კანტორისა და სა-
სახლის სამღვდელოების გამგის დაჯილდოებისათვის
მათდამი რწმუნებულ სასულიერო პირთა, სასულიე-
რო უწყებაში სამსახურისათვის, ბ რ ძ ა ნ ე ს : საფუ-
ძველთა ზედა მოხდენილ მსჯელობათა, უუწმიდესი
სინოდი განაწესებს: ამასთანავე წარმოგზავნილ სიასა
შინა მოხსენებულნი სასულიერო პირნი დაჯილდო-
ებულ იქმნენ მათ იმპერატორებით უდიდებულესო-
ბათა წმ. დავითგვინების დღეს სიასა შინა აღნიშ-
ნული ჯილდოებით და ეპარქიის მღვდელთ-მთავრე-
ბის, მოსკოვის სინოდალნი კანტორის და სასახლის



სამღვდელოების გამგის გამოსაცხადებლად დაჯილდოებულ პირთა სია დაბეჭდილ იქმნეს „საეკლესიო უწყებებში“.

სია სასულიერო წოდების ჰიერთა, რომელნიც დაჯილდოებულ იქმნენ მათ იმპერატორებით უდიდესუფესობათა წმ. დავრიგვინების დღეს სასულიერო უწყებაში სამსახურისათვის:

საქართველოს საექსარხოლოში: ა) **ენჭერთ** — ფარსის მაცხოვრის ეკ., გურია-სამეგრელოის ეპარქიისა დეკანოზი იოსებ ვაცაძე; ბ) **დეკანოზობის ხარისხით**: ხაშმის წმ. გიორგის ეკლესიისა, თბილისის მაზრისა, მღვდელი ლეონ ბაქრაძე; სენაკის მაცხოვრის ეკ., გურია-სამეგრელოის ეპარქიისა, მღვდელი სიმონ ქავთარაძე; ქ. ქუთაისის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიის მღვდელი ოქროპირ გაჭახიძე; გ) **შვედის ჯვრით, უწმ. სინოდისაგან ნაბეჭდით**: ნამესტნიკი მიძინების დრანდის მონასტრისა, სუხუმის ეპარქიისა, მღვდელ-მონაზონი საბა; მოძღვარი თბილისის სასულიერო სემინარიისა, მღვდელი დავით ბერძენაძე; ბაქოს ნიკოლოზის სობოროს მღვდელი ბიძინა გამარავევი; კარის-კურის წმ. გიორგის ეკლ., გურია-სამეგრელოის ეპარქიისა, მღვდელი იესე მახარაძე; ქ. ქუთაისის, წმ. გიორგის ეკლ. მღვდელი ნესტორ უბანეიშვილი; სოფლის ჩხერის ეკლესიის, შორაპნის მაზრისა, მღვდელი ერმალოზ ვეფხვაძე; სოფლის მუხურის ეკლესიის, სამურძაყანოს ნაწილისა, სუხუმის ეპარქიისა, მღვდელი დავით მასხუღია; **კამალაგვით** — ახალციხის მიძინების ტაძრის დეკანოზი დიმიტრი ხანუტაძე; ჯავის წმ. გიორგის ეკ., გორის მაზრისა, მღვდელი ზურაბ ჯიღვევი; დაბა ბორჯომის ეკ., იმავე მაზრისა, მღვდელი სერგი დავიდავი; ქ. თბილისის, ავლაბრის მიხაილ მთავარ-ანგელოზის ეკლესიის მღვდელი დავით იანქოვი; ეკონომი თბილისის ეპარქიალური დედათა სასწავლებლისა, მღვდელი პლატონ გამრეკელი; კონდოლის ღვთის-მშობლის ეკლესიისა, თელავის მაზრისა, მღვდელი მიხეილ კარასოვი; თბილისის წმ. ნიკოლოზის, თავად ორბელიანის სასახლის ეკლესიის მღვდელი სტეფანე ბერიძე; ფოთის ალექსანდრე-ნეფელის სობოროს მღვდელი იოანე უშიტოვი; ფოთის სასაფლაოს წმ. ნიკოლოზის ეკ. მღვდ. გიორგი

კვირკველია; ნამცარეულის წმ. გიორგის ეკლესიისა, გურია-სამეგრელოის ეპარქ., მღვდელი ბარბოლომე ხონელიძე; ლანჩხუთის წმ. გიორგის ეკლ., იმავე ეპარქიისა, მღვდელი გიორგი ჭყონია; ხორგინის წმ. გიორგის ეკ., იმავე ეპარქ., მღვდელი პეტრე ხოჭოლაძე; ასკანის წმ. გიორგის ეკ., იმავე ეპარქიისა, მღვდელი ვეტიმე ტალაკვაძე; სოფლის სხვაის ეკ., რაჭის მაზრისა, იმერეთის ეპარქ., ბლალ. მღვდელი მიხეილ სხირტლაძე; სოფელ ზორეთის ეკ., შორაპნის მაზრისა, მღვ. ივლიანე აბესაძე; სოფ. სვირის ეკ., ქუთ. მაზრისა, მღვდელი ალექსი ცხადაძე; სოფელ ჭორვილას ეკ., შორაპნის მაზრისა, მღვდელი ანტონ ნადირაძე; ქ. ნოვოროსიისკის, ნიკოლაევის სობოროს მღვდელი ვლადიმირ გოფმანი; **უწმადესი სინოდის კურთხევით, დამატითურთ** — ცაიშის მიძინების საკრებულო ეკ., გურია-სამეგრელოის ეპარქ., დეკ. მიხეილ ძეუნარგია; ქვედა თეკლათის მთავარ-ანგელოზის ეკ., იმავე ეპარქიისა, მღვდელი გიორგი გვინავა; ქვედა ამალღების ღვთის-მშობლის ეკ., იმავე ეპარქიისა, მღვდელი გიორგი დოლიძე; ლანჩხუთის ჯვართ-ამალღების ეკ., იმავე ეპარქიისა, მღვდელი ლავრენტი კვირკველია; ზუგდიდის მაცხოვრის ეკ., იმავე ეპარქ., მღვდელი მათე ჯგუშია; თბილისის სიონის სობოროს პროტოდიაკონი კონსტანტინე კარგარეთელი; იმავე სობოროს დიაკონი კირილე პისკუნოვი; გ) **უწმ. სინოდის კურთხევით, უბრატული** — ჰატარძეულის ხარების ეკ., თბილისის მაზრისა, მღვდელი ზაქარია კურდიანი; ბერშუეთის მთავარ-ანგელოზის ეკ., გორის მაზრისა, მღვდელი სიმონ ლუკანოვი; ტირზინის ღვთის-მშობლის ეკ., იმავე მაზრისა, მღვდელი სპირიდონ კასრაძე; ქიკანის თომას ეკ., თელავის მაზრისა, მღვდელი იოანე-მატაფიევი; ხევის წმ. გიორგის ეკ. მღვდელი ნიკოლოზ ცინცაძე; წმ. მოწამეთა კვირიკე და ივლიტეს ეკ., გურია-სამეგრელოის ეპარქიისა, მღვდ. იოანე ერკოშიაშვილი; სოფელ ცხრუკვეთის ეკ., შორაპნის მაზრისა, მღვდელი ნიკოლოზ წერეთელი; სოფელ შუაქვიტირის ეკ., ქუთაისის მაზრისა, მღვდ. დავით ნასრაძე.

30 აპრილიდან 1896 წ. № 1346, სამსახურში მეოთხე მავოსანი და თეთროსანი სამღვდელოების პირთადმი და აგრეთვე ამ აღნიშნულ ხარისხზე ახლად ხელდასმულთადმი წმიდა ჯვრის ვერცხლისა ანუ ლითონის ჯაჭვით ტარების უფლების მინიჭებისა გამო.



უქაზისამებრ მათი იმპერატორებითი უდიდებულესობისა, უწმიდესმა უმართებელესმა სინოდმა მოისმინა: წინადადება უ. სინოდის ობერ-პროკურორისა, 25 წარსულ აპრილიდან № 2802, რომლითაც უცხადებს უწმ. სინოდს, ჯეროვანი განკარგულების მოხდენისათვის, შესახებ მისა, რომ ხელმწიფე იმპერატორმა, თანახმად სინოდის დადგენილებისა, 3-10 აპრილიდან ამა წლისა, ყოვლად უმოწყალესად ინება: 1) რათა მათ იმპერატორებით უდიდებულესობათა დავეიგვინებისა და წმ. მირონცხების სასიხარულო დღესასწაულობის ნიშნად ნება მიეცესთ შაოსან და თეთროსან სამღვდელოების პირთა და აგრეთვე ამ აღნიშნულ ხარისხზე ახლად ხელდასმულთ დაიკიდონ წმ. ჯვარი, და 2) რათა დამტკიცებულ იქნეს სურათი ვერცხლის ჯვრისა, რომელიც უნდა დაიკიდონ გულზე მღვდელობის ხარისხის მექონეთ ვერცხლისა ანუ ლითონის ჯაჭვით. გამო-

კითხვას: უწმ. სინოდის გარდაწყვეტილებით 3-10 აპრილიდან 1896 წ. № 985, სხვათა შორის, დადგენილია: თანახმად უმაღლესი ნებართვისა, რომლის ძალით დაწესებულია მკერდის ჯვარი, როგორც მღვდელობის ხარისხის გამასხვავებელი, მიეწეროს ეპარქიის მღვდელთ-მთავრებს: ა) ვისაც ღირს ჰყოფენ მღვდელობის ხარისხისას, შაოსანი სამღვდელო პირი იქნება იგი თუ თეთროსანი, ხელდასმის დროს დაჰკიდონ ხსენებული ჯვარი, რომელიც მოპოებულ უნდა იქნეს საკუთრი პირისაგან მისი საკუთარი საშუალებით დამტკიცებულ სურათისამებრ; ბ) აღეკრძალოს ამ ჯვრის ტარება შაოსანი და თეთროსანი სამღვდელოების იმ პირთ, რომელთაც დამნაშაობისათვის აღეკრძალებათ მღვდელ-მსახურება, იმ დრომდე, ვიდრე დასჯილნი იქნებიან, და გ) იმ შემთხვევაში, თუ სამღვდელო პირი დაჯილდოებულ იქნება სინოდისაგან ნაბოძები კერდის ჯვრით, ანუ ვინმეს მიართმევენ მორთულს ჯვარს, ნება მიეცეს ამ სამ ჯვარში ერთი რომელიმეს ტარებისა: ბ რ ძ ა ნ ე ს: თანახმად უმაღლესად ნებართვისა და მოხდენილ გამოკითხვისა, ჯეროვანის განკარგულების და აღსრულების მოსახდენად, დაიბეჭდოს ჟურნალს „საეკლესიო უწყებებში“.

გამო-



მწყმმსი



მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილს სული თვი დაჰსდვის ცხოვართათვის. (იოან. 10 — 11).
 შოვე ცხოვარი ჩემი წაწყმედული. მსრეთ იყოს სიბარული ცათა შინა, ერთისათვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).
 მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ. (მათ. 11 28).

№ 10

1883—1896

29 მაისი

გაზეთის ფასი:


„მწყემსი“	„მწყემსი“ რუსული გამოცემით
12 თვით 3 მან.	12 თვით 5 მან.
6 — 2 —	6 — 3 —

ფულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით:
Въ Копенгагенѣ, въ редакцію „Миссѣтти“ и „Наставникъ“.

შველა სტატეები და კორექსორენციები, რომელნიცა იქმნებიან დასაბეტდავთ გამოგზავნილნი, ვრცლად და გასაგებად უნდა იყენენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.
 სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს-სტატეები მიიღებიან რუსულს ენაზე დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.



იმპერატორი ნიკოლოზ მეორე.



იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული.

ქა. სსკ კ. მარქის
 სახ. სახ. რესპუბ.
მიხაილოვსკა

ხელფიფა იმპერატორისა და ხელფიფა იმპერატორისას გვირგვინონსება.

რუსეთის იმპერიის ისტორიაში შესანიშნავ დღეებად ითვლებოდენ 30 მარობისთვე და 15 მაისი, მაგრამ ამ წლიდგანი ამისთანა შესანიშნავ დღეთ ჩაითვლება 14 მაისი — ხელმწიფე იმპერატორის და ხელმწიფე იმპერატრიცას გვირგვინონსების და მირონცხების დღე. დიდი ხნიდგან არის დაწეებული კაცობრიობის ისტორიაში მეფეთა და გვირგვინება და მირონცხება, რასაკვირველია სხვა და სხვა წესით. მაგრამ ქრისტიანობის შემოდებინდროს მართლ-მადიდებელ მეფეთა კურთხევა და მირონცხება ბევრით არ გაირჩევა სხვა და სხვა თემებში. როგორც მოგვითხრობს ისტორია, ეს წესი ბიზანტიიდან არის შემოდებული როგორც რუსეთში, ისე სხვა მართლ-მადიდებელ ხალხთა სასელმწიფოებში: ზოგიერთ სასელმწიფოებში ეს წესი დიდებულად სრულდებოდა, ზოგში ახლაც სრულდება, და ზოგიერთ ალავას კი ისე შესრულდება ხოლმე, როგორც რომელიმე საღმრთო მოქმედება.

ძველი ჩვენი მატყანებიდან სჩანს, რომ მეფეთა და გვირგვინების და მირონცხების დროს კათალიკოსები და ოცდახუთი მიტროპოლიტები და მთავარ-ეპისკოპოსები უნდა შეკრებილიყვნენ, და წინადავე გარდაწვევტილი იყო რომელ მიტროპოლიტს და მთავარ-ეპისკოპოსს რა იარაღი უნდა მიერთმია მეფისათვის. ჩვენს მატყანებში არსად სჩანს გვირგვინონსების დროს ის ზიარების მიღების წესი, რასაც ვხვდავთ ზოგიერთ ალავას.

14 მაისს შესრულებული გვირგვინონსება და მირონცხება მათ იმპერატორებთან დიდებულებათა მეტის მეტად განესხვაება რუსეთის ხელმწიფეთ წინანდელ გვირგვინონსებასა და მირონცხებათაგან, არასოდეს არ დასწრებია, ვკონებთ, ამ დღესასწაულს დედამიწის სხვა და სხვა კუთხის იმდენი წამომადგენელი, რამდენიც დაესწრენ 14 მაისს. ამნაირი ბრწინვალე დღესასწაულობით არასოდეს არ შეგებებია ხალხი ყოველს მიურუებულს ადგილებშიდაც კი ამ დღეს, როგორც ესაა. თვითონ ქალაქს მოსკოვში ეს დღესასწაულობა სხვა დროისაზე გაცილებით დიდებულად გარდაუხდიათ, რასაც ამტკიცებენ მოსკოვის კანონები. ხალხის აღტაცებას საზღვარი არ ჰქონია, რომ თვრამეტ რიცხვს ამავე ქალაქში ხოდინსკის მინდორზე მომხდარ უბედურ შემთხვევას არ შეეწუებია ვეჟანნი. ამ მინდორზე რამოდენიმე ასი ათას სულს უნდა გამახპინძლებოდენ დილის ათი საათიდან. მაგრამ ადრე მოსული ხალხი მიწეულა ბუფეტებისკენ აღთქმული საჩუქრების მისაღებად დილის ექვს საათზე, და ისეთი შეჯახება მომხდარა, რომ 2000-დე ადამიანი გასრესილა და დაშავებულა.

მოგვეავს აქვე დაწვრილებითი ტელეგრაფითი ცნობები ამ შესანიშნავ დღესასწაულობის შესახებ.





ტ ე ლ ე გ რ ა მ ე ბ ი .

14 მაისი.

14 მაისს დილის 7 საათზედ შეიკრიბნენ კრემლის სასახლეში ყველა ისინი, ვინც მიძინების ტაძარში ცერემონიაზე მონაწილეობას მიიღებდნენ. დილის 5 საათიდანვე კრემლის გარშემო ჯარები იდგნენ. სასახლის წითელ-კარებიდამ მიძინების ტაძრისაკენ მისავალ გზაზედ აქეთ-იქით ჯარები იდგნენ მუსიკით. ხარების ტაძართან სასახლის მკმუსიკეთა ხორა იდგა. დილის შვიდის ნახევარ საათზედ დიდმა მთავარმა ვლად. ალექ. ძემ გამოწყობილი ჯარები დაათვალიერა. სოფლის საზოგადოებათა მამასახლისები და უხუცესნი ტაძრის მოედანზედ იდგნენ. ვასავალი გზა, დიდის ივანეს გარშემო, მიძინების ტაძრის ჩრდილო კარი ბჭედამ მთავარ-ანგელოზის ტაძრისაკენ მთლად წითელის მალდით იყო დაფენილი. ამაღლებულ ადგილებზედ მრავალი მანდილოსნები იდგნენ შშვენერის კაბა-სამკაულით გამოწყობილნი. სადიპლომატო ამბიონი (ორ-სართულიანი) უცხოელ პრინციების ამალით იყო სავსე; ძირის სართულში ბუხარის ემირი და ხივის ხანი ისხდნენ. დილის რვა საათზედ წითელ კარებთან ორი ბალდახინი მიიტანეს: ერთი პატარა — ქვრივის იმპერატრიცასთვის და ერთი დიდი — მეფე-დედოფლისათვის. ამ დღეს დარაჯად პრეობრაჟენსკის პოლკი იყო. ცერემონიის დაწყებამდე ობერ ცერემონიიმისტრებმა მიძინების ტაძარში სადიპლომატო კორპუსი, უცხოელი პრინციები და მათი ამალა შეიყვანეს. 9 საათზედ სვლა იწყეს მიძინების ტაძარში. ვიღრე მათი უდიდებულესობა, ხელმწიფე იმპერატორი წაბრძანდებოდა, მათის უდიდებულესობის მოძღვარმა იანიშევმა გზა აიაზმით ასხურა, ვიღრე ტაძრამდე. პირველს ბალდახინს ქვეშ, რომელიც გენერალ აღიუტანტებს მიჰქონდათ, იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული მოდიოდა, მას თან მოსდევდნენ ორი ასისტენტი — დიდი მთავარი ალექსი ალ. ძე და დანიის პრინცი. შემდეგ იმპერატრიცისა შიდიოდნენ სასახლის სეფე-ქალნი. მუსიკამ ამ დროს რუსული სახალხო სიმღერა დაუკრა ხალხი აღტაცებით მიეგება ხელმწიფა იმპერატრიცას. მეორე ბალდახინს ქვეშ, რომელიც ასევე გენერალ-აღიუტანტებსა და ასისტენტებს მოჰქონდათ, მობრძანდებოდნენ ხელმწიფე იმპერატორი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე და ხელმწიფა იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასული. ხელმწიფე იმპერატორთან ასისტენტებად იყვნენ დიდნი მთავარი ალექსანდრე მიხეილის ძე და ვლადიმირ ალექსანდრეს ძე და ხელმწიფე იმპერატრიცასთან სერგი და პავლე ალექსანდრეს ძენი. მუსიკამ ამ

დროს რუსული სახალხო სიმღერა დაუკრა და განსმარგანუწყვეტელი აღტაცებული «ურას» ძახილი. ეკლესიებში ზარების რეკვა დაიწყეს, ტაინიცის კომპიკიამ ზარბაზნებს სკლიდნენ. საიმპერატორო სამკაული რომ მიძინების ტაძართან მიიტანეს, წინ გამოეგებნენ მოსკოვისა და კიევის მიტროპოლიტნი და აიაზმა ასხურეს. როდესაც მეფე-დედოფალი მიძინების ტაძრის კარიბჭეს მიუახლოვდნენ, წინ შეეგებნენ მიტროპოლიტნი — პეტერბურგისა, მოსკოვისა, კიევისა და უმაღლესი სამღვდლოება მოსკოვის მიტროპოლიტმა სიტყვით მიჰმარა იმპერატორსა და იმპერატრიცას, პეტერბურგისამ ჯვარს ამოხვევინა და კიევისამ აიაზმა ასხურა. 8 საათზე ტაძარი უკვე სავსე იყო. მარჯვნივ, საკურთხეველის წინ, დიდი მთავარი და უცხოელი პრინციები იდგნენ; მარცხნივ — დიდი მთავრინანი და უცხოელი პრინციები. შემდეგ უცხოეის სადიპლომატო კორპუსი, უცხოეთის წარჩინებულთა და უდიდესთა ამალა, სასახლის სეფე-ქალნი, ფრეილინები, სასახლის კაცნი, თავდაზნაურთა წინამძღოლნი, ქალაქის მოურავები, რუსეთისა და უცხოეთის კორესპონდენტნი იდგნენ. დილის 9 საათზედ მობრძანდა ხელმწიფა იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული. იმპერატრიცას შემდეგ მობრძანდნენ მათნი უდიდებულესობანი. დილის ათის ნახევარზე შესრულებულ იქნა დაგვირგვინება. 10 საათსა და 4 წამზედ ხელმწიფე იმპერატორმა ხმამაღლა წაიკითხა სიმბოლო სარწმუნოებისა. 10 ნახ. ს. გვირგვინი დაიდგა და სამის წამის შემდეგ ხელმწიფა იმპერატრიცას ალექსანდრა თეოდორეს ასულსაც დაადგა თავზედ პატარა გვირგვინი. მისის იმპ. უდიდ. ტიტულის წაიკითხვის შემდეგ ზარბაზნების ცლა დაიწყეს. შემდეგ მიულოცეს საიმპერატორო გვარეულობის წარმომადგენელთ, უცხოელმა პრინციებმა და პრინციესებმა. 10 საათსა და 5 წამზე იმპერატორმა მუხლი მოიყარა და დადგენილი ლოცვა წარსთქვა. შემდეგ პეტერბურგის მიტროპოლიტმა წარმოსთქვა ლოცვა ხალხმა მუხლი მოიყარა. მირონცხებისა და წმ. საიდუმლოს მიღების შემდეგ მათნი უდიდებულესობანი მთავარ-ანგელოზისა და ხარების ტაძარში მიბრძანდნენ და აქედამ კრემლის სასახლეში წითელი კარებიდამ მათ უდიდებულესობათ ხალხს თავი დაუკრეს. ხალხი აღტაცებული «ურას» ძახილით შეეგება. დაგვირგვინების შემდეგ გამობრძანდა ხელმწიფა იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული, რომელსაც ხალხი „ურას“ ძახილით დაუხვდა, და კრემლის სასახლეში მიბრძანდა. ხელმწიფა იმპერატრიცას თან სასახლის სეფე-ქალნი ახლდნენ. მეფე დედოფალი უკანა კარე-

ბილამ გამობრძანდნენ და აქედამ მთავარ-ანგლოზის ტაძარში მიბრძანდნენ. წინ კავალერ-გრადა რაზმი მიუძღოდა, შემდეგ მიჰქონდათ ღროშები — სასახლის გრენადერთა და სახელმწიფო ღროშა. ხელმწიფე იმპერატორის ბალდახინის წინ, რომელიც გენერალ-ადიუტანტებს მიჰქონდათ, მიდიოდნენ სახელმწიფო საბჭოს წევრნი და მინისტრნი. მთავარ-ანგლოზის ტაძართან სამღვდლოება მიეგება. აქ მათ უდიდებულესობათ თვის წინაპართა საფლავებს თაყვანი სცეს და შემდეგ ხარების ტაძარში მიბრძანდნენ, რომ წმ. ხატებს ჰმთხვეოდნენ. ხარების ტაძრიდამ კრემლის სასახლეში დაბრუნდნენ და ხალხს სალამი უწყალობეს. ხალხი აღტაცებული „ურას“ ძახილით შეეგება. მშვენიერი ამინდია, ცხელა.

15 მაისს, დაგვირგვინების გათავების შემდეგ გრანოვიტი სასახლეში შეიკრიბნენ: უწმ. სინოდი, 1 და 2 კლასის უმაღლესნი დიდებულნი ქალნი და კაცნი, უავგუსტოესი სტუმრების ამაღა და დადგნენ მაგიდებთან. საიმპერატორო ოპერის ხორა და ორკესტრი დადგნენ შავი მუხისაგან გაკეთებულს ესტრადაზედ. 3 საათისათვის ყოველივე მზად იყო. მათი უდიდებულესობანი გვირგვინებითა და პორფირებით მოსილნი მიბრძანდებოდნენ გრანოვიტი სასახლეში, თან ახლდნენ ასისტენტები, სასახლის მინისტრი, სამხედრო მინისტრი, გენერალ-ადიუტანტი რიხტერი, მორიგი გენერალ-ადიუტანტები, სვიტის გენერალ-მაიორები, ფლიგელ-ადიუტანტები და კავალერგარდის პოლკის სარდალი. ტრონი ზალაში ხელმწიფემ მიიღო: სკიპტრა და სფერა. მსვლელობას წინ მიუძღოდნენ ობერ-ცერემონიებისტრები, სასახლის პირველი ხარისხის მოხელენი. ჰოფ-მარშალი, ჰეროლდები, ხელმწიფის მარჯვნივ მიდიოდნენ გენერალ-ადიუტანტები, სვიტის გენერლები, მარცხნივ — სტ. სეკრეტრები და სასახლის მეორე ხარისხის მოხელენი. ხელმწიფე იმპერატრიცას თან ახლდნენ საიმპერატორო გვარეულობის წევრნი, უცხოელი პირები, ჰოფ-მეისტრინები, სტატს-დამები, სეფე-ქალნი და უცხოეთის სასახლის მანდილოსანნი; გზაზედ იდგნენ კავალერგარდისა და სასახლის გრენადერები, საიმპერატორო გვარეულობის წევრებმა, უცხოელმა პრინცებმა და პრინცესებმა მიაცილეს რა მათი უდიდებულესობანი ვლადიმირის ზალამდის, შევიდნენ ტაინიგში; ჰოფ-მეისტრინები, სტატს-დამები, სეფე-ქალნი და უცხოეთის სასახლის ქალება შევიდნენ გრანოვიტის სასახლეში და დადგნენ მაგიდებთან. მათი უდიდებულესობანი მოვიდნენ გრანოვიტი ზალაში და დასდნენ ტახტზედ ბალდახინის ქვეშ. დამზადებული იყო სუფრა 3 პირისათვის, ტახტის

იქით დადგნენ ასისტენტები მათ უდიდებულესობათა და სასახლის 1-ლი მოხელენი; შუა-იმპერატრის მარჯვნივ იდგა ობერ-ფორშნიდერი; მარჯვნივთა და მარცხნივ — ობერ-შენკი, კავალერგარდის პოლკის სარდალი ქარქაშიდამ ამოდებულის დაშნითა ჩაჩქან-ში; ხელმწიფის უკან, ტახტის უკანასკნელს საფეხურთან, მარჯვნივ მორიგი გენერალ-ადიუტანტი რ. სვიტის გენერალი. მარცხნივ — ფლიგელ-ადიუტანტი, ტახტის იქით აქეთ კავალერგარდის პოლკის ოთხი ოფიცერი ჩაჩქანით და ამოდებულის დაშნით; წინა ყურების უკანასკნელს საფეხურთან — 2 ჰეროლდი; ტახტის პირდაპირ: ჰოფ-მარშალი, ცერემონ-მეისტრები და დიდებულნი; მარჯვნივ ტახტის ადგილთან დადგმულია მაგიდა სასულიერო წოდებისათვის, კარის კაცთათვის სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთათვის; სუფრის მოწყობილობა ოქროსი იყო, ლიტრები ძველი ვერცხლისა იყო, ვაზებზედ — პეტრე 1-ლის მონუმენტი იყო გამოსახული და სხ. საქაული. ფინანსთა მინისტრმა მიუტანა იმპერატრიცებს დაგვირგვინებისათვის დამზადებული მენდლები, რომლებსაც ურიგებდნენ მოპატიუბულს პირებს საიმპერატორო გვარეულობისას და უცხოეთის პრინცებს. ანიშნეს თუ არა უმაღლესმა მარშალმა, ობერ-ჰოფ-მარშალმა და ცერემონ-მეისტრებმა ვადიდნენ ბლუდების შემოსატანად; ბლუდები შემოიტანეს გრანოვიტის ზალაში სამსახურიდამ გამოსულობა შტაბ-ოფიცრებმა მოსკოვის გუბერნიის თავად-აზნაურთაგან, წინ მიუძღოდნენ უმაღლესი მარშალი და ცერემონ-მეისტრები. იქით აქეთ მოსდევდნენ კავალერგარდის პოლკის ოფიცრები; ბლუდები დასდგეს სუფრაზედ ობერ-ჰოფ-მარშალმა და ჰოფ-მარშალმა. მისმა უდიდებულესობამ გადასცა გვირგვინი, სკიპტრა და სფერა დიდებულთ. მიტროპოლიტმა სერგიმ აკურთხა სუფრა. ხელმწიფის სუფრაზედ მსახურებდა მოსკოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ. ტრუბეცკი; იმპერატრიცის მარჯვნივ თეოდორეს ასულის სუფრაზედ მსახურობდა გრაფი მუსინ-პუშკინი, იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულის სუფრაზედ მსახურობდა კორნიკოვი. სადილად მიიტანეს თევზი, ცხვრის ხორცი, ხონობი, ყვერული, სატაკური, ხილი და სხვა და სხვა ღვინო. სადილის ღროს იგალობა ხორომ. მათი უდიდებულესობანი სადილის შემდეგ გაემართნენ ანდრიას ზალაში, ამ ღროს ხორა გალობდა; „დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, ქვეყანასა ზედა დიდება ხელმწიფესა ჩვენსა“. სალამოს ჟამზედ მათი უდიდებულესობანი გამოვიდნენ კრემლის სასახლის



აივანზედ საიმპერატორო სახლელელობის წევრებთან. იმპერატრიცა ალექსანდრა თეოდორეს ასულს მიართვეს თაიგული. აილო თუ არა მათმა უდიდებულესობამ ხელში თაიგული, ელექტრონის ლამპრებით განათდა მთელი თაიგული და იმავე წუთში მთელი კრემლის კოშკი გაჩაღდა, რადგან თაიგული ელექტრონის ძაფებით იყო შეერთებული კრემლის კოშკთან. უცხო რამ სანახავი იყო მოსკოვის ილიუმიწინაცია ამ საღამოს, შვენიერს მოწმენდილს ღამეში. ქუჩები სავსე იყო ხალხით. სამაგალითო წესიერება იყო დაცული.

15 მაისს დილის 11 ნახევარ ს. მათ უდიდებულესობათ მიულოცეს დაგვირგვინება: უწ. სინოდის წევრებმა, სხვა სარწ. წარმომადგენლებმა, სახელმწიფო საბჭოს წევრებმა, მინისტრებმა, სენატორებმა, სტატს-სეკრეტარებმა, საპატოო ოპეკუნებმა, გუბერნიის მარშლებმა, საერობო გამგეობათა თავმჯდომარეებმა, ქალაქის მოურავებმა, ფინლიანდიის დეპუტატებმა და ვაჭართა კომიტეტების წარმომადგენლებმა.

ხელმწიფე იმპერატორმა მადლობა განუცხადა წარმომადგენელთ. ქალაქების, ერობათა და თავად-აზნაურთა წარმომადგენლებმა მიართვეს პურ-მარილი მშვენიერის ხონჩებით; ზოგიერთებმა მიართვეს მდიდარი ხატები. სულ მიმლოცველთა რიცხვი 2000-ე იყო. მილოცვა ნაშუადღევს 1 ს-დღე გაგრძელდა. საღამოს 7 ს. დანიშნული იყო სადილი გრანოვიტის სასახლეში პირველ ორ კლასის მოხელეთათვის.

პეტერბ. მიტროპ. პალლადიმ და მოსკოვისამ სერგიმ მიძინების ტაძარში სიტყვები მოახსენეს იმპერატორს.

16 მაისს, როცა ხელმწიფე იმპერატორმა მიილო დეპუტაცია მოსკოვის თავად-აზნაურობისაგან, გუბ. მარშალმა თ. ტრუბეცკოიმ მიულოცა. ხელმწიფემ კეთილ ინება და უპასუხა: «ჩემთვის გენსაკუთრებულის სიამოვნებას შეადგენს მოსკოვის თავად-აზნაურობისაგან პურ-მარილის მიღება. გამადლობთ». ხელმწიფე იმპერატორს მიართვა მოსკოვის ქალაქის მოურავმა პურ-მარილი ღ მოახსენა: დიდებულო ხელმწიფეო! დიდებულო დედოფალო! მიიღეთ გულწრფელი მოლოცვა თქვენის მოსკოვისაგან. მოსკოვს გულით უყვარხართ თქვენ და გულწრფელად ლოცულობს თქვენთვის». ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება და უბრძანა: «გამადლობთ».

15 მაისს საღამოს 7 ნახ. ს. გრანოვიტი და ბაზში ხელმწიფე იმპერატრიცასი, საიმპერატორო სახლელელობის წევრთა და უცხოეთის პრინცთა და პრინცესათა თანადასწრებით გამართულ იქნა სადილი სასულიერო წოდების უმაღლესს წარმომადგენელთა პირველი ორი კლასის მოხელეთათვის. 286 კაცი იყო მოპატიებული უმაღლესს სუფრაზედ ისხდნენ უმაღლესნი პირნი ღ სასულ. წოდება. ხელმწიფე იმპერატორის პირდაპირ იჯდა სასახლის მინისტრი გრაფი ვარანცოვი-დაშკოვი, მარჯვნივ მიტროპოლიტი პალლადი და მარცხნივ - მიტროპოლიტი სერგი. სასახლის ორკესტრმა და ხორომ შეასრულა სხვა და სხვა სამუსიკო პიესები რუსეთელ კომპოზიტორთა. სუფრის მოწყობილობა ვერცხლისა იყო ალექსანდრე მესამესი. 8 ნახ. საათზე სადილი გათავდა. 9 საათზე კრემლი გაჩაღეს, ამ დროს მოსკოვის სხვა ადგილებშიაც დაიწყო ილიუმიწინაცია. ქუჩები და მოედნები გაქვდილია ხალხით. ხალხითვე გაქვდილია მოსკოვის მდინარის ნაპირი სასახლის პირდაპირ.

15 მაისს მათ უდიდებულესობათ წარუდგა პაპის ელჩი არხიეპ. ალოიარდი ამალით. ალოიარდიმ მიულოცა მათ უდიდებულესობათ.

16 მაისს მათმა უდიდებულესობებმა მიიღეს ხელმეორედ ბუხარის ემირი და ხივის ხანი. იგინი მივიდნენ, რათა ხელმწიფე იმპერატორს მადლობა გამოუცხადონ მოწყალებისა ღ დაჯილდოვებისათვის.

16 მაისს კრემლის სასახლეში მათს უდიდებულესობას მიულოცეს უცხოელმა ელჩებმა, საღამო კორპუსის წარმომადგენელთ, გენერალ-ადიუტანტებმა, მისის უდიდებულესობის ამალის გენერალ-მაიორებმა, ფლიგელ ადიუტანტებმა, დიდის მთავრების გენერალ-ადიუტანტებმა, უცხოელ პრინცების სამხედრო ამალამა და უცხოეთის სამხედრო დეპუტატებმა, გენერალ ადმირალებმა, გვარდიის შტაბ და ობერ-ოფიცრებმა, მხედრობისა და ფლოტის ოფიცრებმა, ყაზახთა ჯარების დეპუტატებმა, სასახლის კაცთ, უცხოელმა სასახლის კავალრებმა, პირველის ხუთის კლასის სამოქალაქო სამსახურის მოხელეებმა, არა ქრისტიანეთა წარმომადგენლებმა, აზიის ერთა წარმომადგენლებმა, დეპუტატებმა იმ ადგილებისა, რომლებიც სამხედრო უწყების გამგეობის ქვეშ იმყოფებიან, სოფლის საზოგადოებათა

მამასახლისებმა და სოფლის მცხოვრებთა წარმომადგენლებმა. ყველანი დილის ათის ნახევარ საათზე გიორგის დარბაზში შეიკრიბნენ; სოფლის მამასახლისები და სოფლის მცხოვრებთა წარმომადგენელი ვლადიმირის დარბაზში და ბოიართა მოედანზე შეიკრიბნენ. მათი უდიდებულესობა გამობრძანდა ბოლოს და სატახტო დარბაზში დადგა სამეფო ტახტთან. ცერემონიებისტრებს რიგ-რიგზედ შეჰყავდათ მუნ შეკრებილნი. აზიის ერთა დებუტაციებმა, სოფლის საზოგადოებათა მამასახლისებმა, ყაზახთა ჯარების წარმომადგენლებმა და სოფლის საზოგადოებათა და სხვა და სხვა ოლქების მცხოვრებთა წარმომადგენლებმა მილოცვის დროს მათს უდიდებულესობას პურ მარილი და ხატები მიართვეს.

ქართული ხალხის მღვდლმარტობა.


დასასრული *)

როგორც ზევით მოგახსენეთ, ჩვენ ეხლა ხელში გვაქვს უოველგვარი საეკლესიო საგნობლები, თუ მათი გავრცელება და მოფენა ხალხში მოვიწადინეთ. ცოტა რომ დაგვიანებოდა მათ ნოტებზე დაწერას, ისინი ან სრულიად და ან ისენაირად გადაგვარდ ბოდა, რომ მას კაცი ვეღარ იცნობდა ქართულ ხალხობათ, მით უმეტეს, რომ ახლა, როგორცაღ დრო დაგვიდგა ყველაფერი კარგის გადაგვარებისა და დამახინჯებისა. ამის თქმას მაიძულებს შემდეგი ფაქტი: საქართველოს ერთ კუთხეში, ერთს უცხოელს წირვის საგალობელი მოუსმენია და დაუწერია კიდევ. მაგრამ მოძახილი და ბანი ხალხობას არ მოსწონება და უკისრნია თვითონ იმათა ე. ი. ბანისა და მოძახილის დაწერა. იქონიეთ სახეში, რომ ამ უცხოელმა არ იცის არც ქართული ენა, არც ქართული ხალხობა, არც მისი ხმათა წყობილება, არც მისი წესი და ხასიათი. ადვილად წარმოსადგენია, თუ მის მიერ მოწერილი ბანი რა მადალი ბანი როგორ დაახა-

სიათებდა ჩვენს ხალხობას. მან, ვისაც კი უკისრნია რომელიმე ხალხის სიმღერისა და ხალხობის მუსიკაზე დაწერა, მიუცილებლად უნდა იცოდეს ხალხური ენა, მისი ხალხობ-სიმღერის ხასიათი და ხმათა წყობილების წეს-რიგი და განიხილოს. ყველა ხალხს თავისი გრამატიკა აქვს, როგორც წერა-კითხვისათვის, ისე მუსიკისა და ხალხობისათვის. უოველი ხალხი თავისებურად აკეთებს, როგორც სიტყვა-გაზმელობას, ისე მუსიკისა და ხალხობის ხმათა წყობილებას. და თუ უცხოელმა ესენი არ იცის, ვადებუღია დაემარჩილოს ზევირ გადმომცემლებს, რომელთაც ზედმიწევნით იციან გარდასაცემი საგანი. თუ ვინცობაა მწერალი გადმომცემელს ხმებთა შორის შენიშნავს რაიმე უთანხმოებას, რომელიც სმენას ჰკვრის უსიამოვნებას, იმ შემთხვევაში მან უნდა მიუთითოს ნაკლულეგანებაზე და გადმომცემლები თვითონ შეასწორებენ შენიშნულს ნაკლულეგანებას. მე ვსთქვი, რომ ზევირ ხალხობას თავისი განსაკუთრებითი და ხასიათური წყობილება და აგებელება აქვსთ-მეთქი. ამისათვის მოკლედ გამოვხატავ ქართული ზევირ ხალხობის აგებულებას.

ახალ მოსწავლეთა პირველად დააწეებინებდენ ხალხობის ხმით, რომელსაც ეძახოდენ სასწავლებელ ბანს, სასწავლებელ მადალ ბანს რ სასწავლებელ დამწეებს. ეს სასწავლებელი ხმები მდგომარეობდა იმაში, რომ დამწეებს მოძახილი ანუ მადალი ბანი მისდევდა დაბლიდან (ძირიდან) მკნეთე საფეხურით ჰჳკალისა (5 ступень скалы), რომელსაც მუსიკალურად ჰჳკვიან კვინტა (quinta). ბანი მისდევდა პირველსავე ანუ დამწეებს ძირიდან მერვე საფეხურით ჰჳკალისა (ჰჳკალა გურულად კიბეა, ხოლო იტალიანურად კიბე სკალა, 8 ступень скалы гаммы) და ჰჳკვიან მუსიკალურად ოლტავა. ამგვარი ხმათა წყობილება, რომელსაც ჰჳკვიან პრადელური კვინტა და ოლტავა, თუმცა ადვილი გასაგები და დასახსოვრებელია, მაგრამ მოსასმენად არ არის სასიამოვნო, რადგანაც ხმები დამოკიდებულია ერთი მეორეზე. და არც ხალხობდენ ამხირ ხმათა წყობილებით კარგი და დახელოვნებული მხალხობლები, მხოლოდ ეს იყო ძირი პირველ

*) იხილეთ (მწეებსა) № 9, 1896 წ.



დასაწყისი გალობის სწავლისა. იმ უცხოელს სასწავლებელის ხმების გალობას მოასმენინებდენ, რომელიც, რასაკვირველია, მას არ მოეწონებოდა და არც მოსაწონია. როდესაც ამ სასწავლებელ ხმებზე შეასწავლიდენ გალობას, მერე დააწყებინებდენ კილო გალობის სწავლას. კილოს გალობა მდგომარეობდა იმაში, რომ პირველს ხმას აძლევდენ უკეთესს, მელოდიურს მიმონვრას. ბანსა და მაღალ ბანს ცოტად თუ ბევრად აძლევდენ თავისი ფუნქციას და დამოუკიდებლობას პირველი ხმსაგან. უმეტეს შემთხვევაში ამორებდენ ხმებს ერთგვარად მიყოლილ-მოყოლის, აყენებდენ თვითოეულს მათგანს შესაფერს ერთმანეთს შორის ადგილას და ამნაირად ასხვავებდენ და აუმაჯობებდენ სასწავლებელის ხმებისაგან. ხოლო კილო გალობაზედ აშენებდენ ვარჯიშ გალობას. ვარჯიში გალობა, მოკლედ რომ ვთქვათ, იყო და არის განვითარებული და დახელოვნებული გალობა, რომელშიაც ხმები მოძრაობენ თავისი ფუნქციით ერთი მეორისაგან და დამოუკიდებლად, მწყობრივ, თავისებრივ და ორიგინალურ მიმონვრის კავშირით. ქართულ გალობას აქვს თავისი კანონები, რომელთა ტერმინები არიან: სტალია (salto, slancio). სტილი არის ხმის ადგილიდგან ადგილზედ ანუ ნოტიდგან ნოტებზედ კონტად და რითმულად გადასვლ-გადმოსვლა. სასუფი. (respiro), pausa) ხმის ცოტა დროით შეჩერება, ანუ სულის მოთქმა გალობაში ერთისა ცაღვე ანუ უველა ხმებისა ერთად. დამუხლება (finale)—შეჩერება ხმებისა და ზომისა, როდესაც აზრი სიტყვისა და მუსიკის მოძრაობისა თავდება ოია (fermato), — ხმის, ზომის გარეშე, განუსაზღვრელად გაგრძელება. შესაყალი (l'entrata) — როდესაც დამწყები განაგრძობს ხმას და მოძახილი იმავე დროს შეჰკიბავს ძირიდგან, შეუერთდება დამწყებს, შეერთებისათნავე დატრიალდება ძირს და რჭერს შესაფერს ადგილს. წაწოქმა (recitativo). სიტყვების წარმოთქმა ხმათა გაუგრძელებლად დაპარაკულად საგალობელთა სიტყვების ხმარება. ზომა (tempo, misura) — რითმულად, თანასწორად და მწყობრად მოძრაობა ხმებისა. ქართული გალობა იწყება და თავდება ორიგინალურად. გალობაში ხშირად უხმო ასო იხმარება

ხმოვან-დ და სხ. და სხ. ქართული გალობის კულტურას განსაკუთრებით უურადდება მიუქცევია მოძახილისათვის. მოძახილი, რაგორც ორს ხმას შუა მყოფი, გვირგვინია ქართული გალობისა. იგი აძლევს გალობას შნოს, ფერს და სიცოცხლეს. დასტრიალებს პირველსა და ბანს შუა, უნაზრდებს და უაღერსებს ორივეს. ადის პირველი ხმის ადგილზე და თავისას უთმობს პირველსა, ჩამოდის ძირს და უჩვენებს პირველს ზევით ასვლას. უახლოვდება ბანს, აჩუქებს პირველს და შედის ბანის მიყოლით დასამუნლებელში. დასამუნლებელში უტობს თავის ხმას პირველს, ანუ დამწყებს და თვითონ სხვა შესაფერ ადგილს რჭერს და მოსძახის პირველსაც და ბანსაც. მოძახილს ამ გვარ მოქმედებაში ბანიც თავისი მძღავრის ხმით მხარს აძლევს პირველსაც და მეორესაც. იმათი შეტაკების ანუ შეჯახების დროს (disjonante) ამჟიდება და აყენებს ორივეს შესაფერ წყოილობაზე (consonante).

არა მცოდნე ზემო ჩამოთვლილ კანონთა და ქართული გალობის თავისებურებისა დაუწერს განა თვითონ გალობას ბანს და მაღალ ბანს? რასაკვირველია დაუწერს და მშვიდერადაც დაუწერს, მაგრამ ის ქართული არ იქნება, არამედ იქნება იმ ტომის გალობა, რომელ ტომსაც ეკუთვნის ის ბ. უცხოელი. აი გადაგვარებაც ამას ნიშნავს, თუმცა ჩვენ ჩვენი გალობის გადაგვარების და დამახინჯების შიში ადარა გვაქვს რადგანაც ის ნოტებზეა დაწერილი თავისსაკუთარს ჰანგზე, მაგრამ ეს ნოტებად დაწერილი თუ არ დაიბეჭდა, თუ მისი შესწავლა და ცოდნა არ გავრცელდა სასწავლებლებში, ხალხში და არ გაჩაღდა მისი დადადება ეკლესიებში, მაშინ მოკლებული თავის დანიშნულებას, გადაგვარებაზე უარეს მდგომარეობაში დარჩება.

თელიმონ ქარიძე.

საქართველო

ძველი დროის თავგადასავალი,

(გავრძელება *).

ტფილისელთა, განძელთა და ბანელთა თურქთაგან წასვლა სპარსეთად წინაშე მძლავრისა სულტანისა, და ცრემლით შეტირება აღწყვეტისათვის თურქობისა ხელისაგან დავით მეფისა და სულთნისაგან წვევა არაბთა მეფისა და სრულისა სპარსეთისა, და ესრეთ დიდითა დიდებითა და რაზმთა სიმრავლითა მომართვა ქართველთა ზედა.

ტფილისელთ, განძელთ და ბანელთ თურქთ შეხვდათ ძნელნი ჭირები, ციხით გამოსვლა არ ძალუძსთ, პყრობილ არნ ვითა სირები, თავსა სტირიან, მეფესა უძლებსო ვერ ქვითკირები, ძაძით შემოსილთ, ლაწვ ხოკილთ ჰყენეს თავნი განაწირები.

განვლეს მზღვარი ქართლოსისა, მოტირალნი იქმნენ მსვლელნი, პირი შვად შეიღებეს, თვით შავნი აქვსთ სამოსელნი, მიიახლნენ დიდსა სულტანს, შესტირიან მუხლ დამდგმელნი, მოახსენეს, დიდგვარობა თურქთა იქმნა საკიცხველნი.

მოისრა დიდი სიმრავლე, მკვდართ ვერ იტყვენ ველები, აოხრდა აგარიანთა გვარობა ძველის ძველები, მეფემან დავით ძირითურთ, აღფხვრა თურქთ საძირკველები თვით ყმანი მისნი მისთანა არიან მახვილ მჭრელები.

მრავალთა წელთა სიმტკიცით ჩვენგან ნაშენნი ზღუდები, ძირსა დაეცა, დარღვევით შეიქმნა ჩვენთვის ცუდები, ვითა ვარსკვლავთა სიმრავლით გვაქვნდა შვებისაბუდეები. აწ აღსპობილნი საბრალოდ გთხოვთ გურჯთ ნუ შეუძრწუნდები.

შევეწყალენ აღსპობილნი, თვით შენივე გვარი ვართა, მოგვეც ძალი შეწვენისა, მტერი გვადგას სპოლავთ კართა

ტკბილი ჩვენი სამამულე ხელთ აქვსთ ქცევით იასართა.

თქვენ სუფევდეთ ტახტსა ზედა, ესე რადმცა დაგვემართა. არას გვეწვი მოვსწყდებით, სახელი მოგიყინდება, ჩვენ მოგვსრავს მეფე იცოდე მას დღენი მოუღბინდება; მერმე მოიცილოს საშენოდ, შავარდნებრ მოგაფრინდება, რაზომ მაღლობდეს სპარსეთი ეგრეცა შეუშინდება.


სულთანს რა ესმა შეიქმნა ვითა ნაცემი გველისა. ჰბრძანა, ვიცო, გურჯებთა საქმე აქვსთ ქცევით დელოსა, არს მეფე მათი გულ-ლომი, მომხვეჭი მით სახელისა, გვმართებს ამისთვის ხელყოფა მტკიცისა საძირკველისა. იწვია მეფე დურბეზი ლაშკრითა არაბულითა, შეჰსთვალა გმართებს მხნეობა, ვართო ერთისა სჯულითა, გამოჩნდა მეფე გურჯისტანს, მძლე ხმლითა მომახულითა, სრულად მოსწყვიტა თურქობა მათითა დედაწულითა.

შეჰკრიბენ სპანი არაბთა ოროლით მეომარები, ჰალაბით დამსკოსანი, მებრძოლნი მკლავ მაგარები, სხვა ამირანი დიდ-დიდნი, ჰყავ შენტან მონახმარები, მეცა განვმზადო ყოველნი მხნენი სპარსეთის ჯარები.

რა ჰსცნა არაბთა მეფემან სულტნისა შემოთვლილობა, შეჰკრიბნა სრულნი არაბნი, ჰყო რაზმთა დაწყობილობა, გამრავლდა შუბთა პირები მხესა, დაუწყეს ჩრდილობა, სრულ აღუზახნა ერთობით შეიქმნა თურქთა ყრილობა.

გამოემართნენ, სიმრავლით მთა-ველთა დაჰფარვიდიან, მომართეს დიდსა სულთანსა, სიმსწრაფლით მისკენ ვლიდიან, იარეს ვითა ჩაუქთა, გზასა არ იყოენიდიან, დასცეს ჩადრნი და ხარგანი, მინდორთა აღავსიდიან.

გამოიყვანა სულთანმან სრულად სპარს ხვარასნელები, ვითა ქვიშანი სიმრავლით სარკინოზთ სჯულთა მქნელები, დაჰფარეს ყოვლი ქვეყანა და თვალ-უწოთომი ველები, აჩინნა სპასალარები გულსაღნი, მახვილ მჭრელები.



სპარსთა და არაბთა სულტნისა და მეფისა წამოსვლა დიდითა და უთვალავითა რაზმებითა საქართველოსა ზედა, და ქართველთა მეფისა დავით აღმაშენებელისაგან ბრძოლა მათზედა და ძალითა ზეგარდამოისათა ძლევა სულტნისა და არაბთა მეფისა, და გამდიდრება ქართველთა დანაშთომითა ნაშოვარითა მათითა.

შემტკიცდნენ ყოვლნი თესლტომნი ქართველთა ექადებოდეს, გამოვლეს ადრაბაგანი, ჩვენთა კიდეთა დგებოდეს, სომხით თრიალეთ მანგლისი მართ მათგან აღივსებოდეს, დიდგორის მთათა და ტყეთა ვით ბუხნი განმრავლებოდეს.

მოხსენდა აღმაშენებელს სიმრავლე ბილწთა გვარისა, უფალი ღმერთი ჩვენთანა, ჰბრძანა თან შემწედ კარისა, მალედ განაწყო რაზმები თვისისა მეომარისა, მიჰმართა სპარსთა და არაბთ, ჰმსგავსად გრიგალის ქარისა.

ყოვლითურთ დაწყნარებულად თვით მეფე სპათა მძღვანია, ესავს ზეგარდმო შეწვენას, ჰყო კეთილ განკარგვანია, დასი და დასი მიანდო ვინცა ერთგულნი ყმანია, რა მტერთა შეხვდნენ ამრავლეს ღვთისა ვედრების ხმანია.

ითხოვს ძალსა ზეგარდამო, მეფე ამაღ ცრემლსა ღვრიდა, მომეც ძლევა მტერთა ზედა, მუხლთა სულთქმით მოუყრიდა, ურწმუნოთა წარმართთაგან ჩვენსა სისხლსა ნუ დაღვრი და, აწ არს ჟამი შეწვენისა, გლახ ამისთვის ვინატრიდა.

ღმერთო ჩემო, ძალი შენი მომეც მტერთა დავამხოზბდა, ჰსცნან წარმართთა ხელი შენი, მადლსა შენსა უგალოზბდა

შემოვიქვე გამარჯვებით შენს წინაშე ვლიტანოზ და, შენთა წმინდა სამსხვერპლოთა სურვილითა შევამკობ და,

მართ ერთი ჟამი ლოცვითა იტყოდა სავედრებელსა, აღენდა ცრემლსა თვალთაგან, უშრობლად მომჩქეურებელსა,

მერმე ითხოვა ტაიჭი, მოართვეს მომსწრაფებელსა, უბრძანა ყოვლთა მზაობა მასთანა შემომკრებელსა, ამხედრდა მეფე, საქვერეტლად თვალთაგან მოსანდომია, ჰგვანდა დაცულსა ზეგარდმო, ტკბილად ჰმზერს ცისა ხომია,

განამხნო გუნდი ზე გუნდი, ჰყვეს ადგილ-ადგილ ომია, მიმართეს მტერთა გულსრულად, ცუდად არღავინ მდგომია.

ეკვეთნენ პირველ არაბთა, დაჰფრიწეს დაწყობილება, ჰმუსრვიდნენ ვითა ქარქვეტთა, შეუდევს მბრძოლთა ხრწნილება,

ცუდ ექმნათ ბედშავთ შუბისა პირბასრად აღლესილება, დასცეს ზარი და განდრიკეს ურიცხვი შეკრებილება.

აართვეს ფეხი სპარსთაცა, რაზმი ჰყვეს ხმლითა ხეულად,

იგი ურიცხვი რაზმები იქმნა მეფისგან ძლეულად, აღილის კაცი ცხენთაგან, შორად განსტყორცდის სრულად, გაიქცნენ სპარსნი, არაბნი შეიქმნენ უკან წეულად.

არღა რიდეს მეფე სპათა, მოსრვით უკან გაეკიდნეს,

სამსა დღეთა დაფანტულთა ვითა ფურცელთ ჩამოჰყრიდნეს, სრულად დასცეს გლახ მცირედთა, თაფნი ლტოლვით განარიდნეს.

შემოიქცნენ, საუნჯენი მათნი უხვად შემოზიდნეს.

იყო სიმრავლე სპეკალთა, რიცხვით ვერ აუვიდიან, არღა აქვსთ ნდომა ვეცხლისა, ვითა ქვიშასა ჰყრიდიან, ოქრო გახშირდა, ვით იფქლსა ლიტრობით აღსწონვიდიან, ტყვეთა მალულთა ტყეთა და შეკრულთა მოასხმიდიან.

აღივსო ყოველი სპა-ჯარი მეფისა დავითისადა, ჰყვეს განმრავლება ძვირფასთა, აღვსება საუნჯისადა, თვალნი რჩეულნი საქებნი შეჰკრიბეს ჰმსგავსად ქვიშასადა,

ვინმცა ჰქმნა რიცხვით მიხდომა მათგან ჰყრობილის ტყვისადა.

სპარსთა და არაბთაგან თანა შემწედ მეფისა დავით აღმაშენებლისა ღვამა და ბრძოლა წმინდისა დიდებულისა და დიდისა ღვაწლისა მძლისა მთავარ-მოწამის გიორგისა, რომელიცა იხილეს სპარსთა და არაბთა და იგინი დაუფარავად იტყოდნან.

ვინანი მორჩნენ სპარს არაბთ, გაქცევით გაწბილებულნი, მივიდნენ თვისთა სამყოფთა თავისა ვაგლახებულნი, იგლოვდენ, მკვდართა სტირიან დაკოდნილ-დაშავებულნი, ასთაგან ერთი თუ მორჩნენ გლახ წყლულით გამწარებულნი.

ლომად იტყვიან მეფესა, მისის შიშითა თრთილიან, მასთანა მბრძოლსა ჭაბუკსა თეთრ ცხენას მოიტყოდნიან, მეფე და იგი ორნივე ჩვენ ერთად გვეომოდნან, მათგან ვიქნენით ძლიერნი, ზე ცეცხლგებ დაგვესხმოდნან.

არავის ძალუძს შემართვა თეთრ ტაიქს ზედა მბრძოლისა, არს მოყმე ვინმე უებრო მართ უპოვარი ტოლისა, მისგან ამოვსწყდით შიშითა, ჟამი შეგვედვა თრთოლისა, მეფისა წინა იბრძოდა, ჰყვა გუნდი თანამყოლისა.

ყოვლნი სპარსნი და არაბნი იყვნენ სახლს შეშინებულნი, უკვირდით დავით მეფისა ისართ სხმა მოსწრაფებულნი, კვლავ თეთრის ცხენით მბრძოლისა ქმნილ იყვნენ გაკვირვებულნი, მათ მოგვეწყიტნესო ესდენნი სიმრავლით დასდასებულნი.

შინა მისრულნი ჩიოდეს ორთა მებრძოლთა ხელითა, კვლავ ტყვენი ქართველთ პყრობილნი მას ხმობდენ გულეზ წრფელითა, იყო მეფესთან თან მბრძოლნი ჭაბუკი საჭურველითა, მოსილი, შვენიერი და შუბითა ბასრად მჭრელითა.

იჯდა თეთრის რასმე ტაიქსა, ქებითა მიუხვდარესა, იგ იყო შემწე მეფისა, ვისგან ვხვდით დღესა მწარესა, ცეცხლისა სახედ შეგვეწვიდის პირისპირ მდგმოიარესა, მისმან შუბმან და მახვილმან აგვეწყვიტეს დაცავფარესა.

მეფესა მთავარმოწამის დიდისა უძლეველისა ხატი წმინდისა გიორგის ყელს ჰკიდავს თვისის მცველისა, ნამდვილ იგ იყო თან შემწე თვისისა შემტრფობელისა, მისგან მოიგო სახელი უსჯულოთ მომსაზობელისა.

ცხად იქმნა ესე ყოველთა წარმართთა ერთა გულეზსა, რომე მეფესა და ქართველთ უდმს სპათა დარაზმულეზსა მხნე ვინმე მოყმე ჭაბუკი, შეართვამს სიხარულეზსა, მათთა მებრძოლთა დაამხოზს, დაჰმატებს რისხვით წყლულეზსა.

მოჰყვანდათ ტყვენი სპარს არაბთ მთავარი დიდებულეზი. ტყეთა და ტყერთა მალულნი, შიმშილით ღონე ჰრთმულეზი, ბრძოლასა შინა ამყნი, აწ ერთობ გაკიცხულეზი, ხმობდენ, თეთრ ტაიქოსანმან ჭაბუკმან გვიწყულა გულეზი.


ცხად იქმნა, მთავარ-მოწამე ებრძოდა მეფის მტერებსა, იგი ჰფარვიდა ქართველთა თვისს საკუთარსა ქებასა, ჰხედვიდენ მრავლად შეწვევას ზეგარდმო მის მიერებსა. ჰძლენიდენ მადლობას გიორგის მცველობის მაგიერება.

ახალი ამბები და შენიშვნები.

დაბა ყვირილაში მდინარეზე ხელახლად გაკეთდა ხიდი მის მიერ, ვინაც პირველადვე ითავა ეს საქმე. უხილობით შეწუხებულ და ბორანის ქირით შევიწროებულ ხალხს შედავათი მიეცა. 24 მაისის მოდიდებულმა წყალმა ვერა დააკლო ახლად აგებულ ხიდს, და იმედია ვერც სამერმისოდ აენებს რამეს. 25 რიცხვიდან ხალხმა დაიწყო უკვე სიარული.

* *

ქ. ქუთაისში არქიელის გორაზედ სასულიერო სემენარის სახლის აგების შესახებ დიდი ხანია წარდგენილი არის განსვენებულის ეპისკოპოსის გაბრიელის მიერ შენობის გეგმა და ყველა მოსაზრება, მაგრამ საბოლოო განკარგულება ჯერ არაფერი არ არის. დროებით სემენარის რექტორმა დაიქირავა ქალაქში სლაბოდკისკენ ბ. დარახველიძის სახლი 2000 მანეთად წელიწადში, როგორც ამბობენ, 3 წლის ვადით.



გაზ. „კავკას“-ის ოფიციალურ განყოფილებაში დაბეჭდილია შემდეგი მართებლობის განკარგულება: კავკასიის მთავარ-მართებელმა 1890 წ. გამოცემულ საცენზურო წესდების მე-154 მუხლის სხოლიოს ძალით შეაჩერა გაზეთ „ივერიის“ გამოცემა რვა თვის ვადით.

* *

24 მაისს შორაპნის მაზრაში დიდი სეტყვა მოვიდა. დასეტყვა ზოგიერთი მამულები და ამერიკული ვაზის საზრდისიკ. სეტყვა იყო მხოლოდ ს. სვირის, დილიკაურის და ჭიათურის გაყოლებაზე.

მეწიწეულებს.

მღვდლის მ. ირაკლი ბაკურაძისაგან ჩვენ მივიღეთ გაზეთში გამოსაცხადებლად შემდეგი წერილი: **«მ. რ. უმორჩილესად გთხოვთ, რომ თქვენის გაზეთის «მწყემსი»-ს საშუალებათ მადლობა გამოვუცხადოთ, როგორც მე აგრეთვე ჩემმა მრევლმაც ქვემოთ ხსენებულ პირთ, რომელთაც ჩემდამო რწმუნებულს ფარცხანაყანების წმინდის გიორგის ეკლესიას შემოსწირეს შემდეგი ნივთები. აი სიაც შემომწირველთა: გლ. მიხეილ მარდალეიშვილმა მოსჭედა წმ. სახარება, რომელიც დაუჯდა 10 მ., სოფიო ი. მარდალეიშვილის ასულმა შემოსწირა ერთი ხელი შავი შესამოსელი, ღირებული 11 მანეთად და ერთი რწყელი კანდელი, ღირებული 9 მანეთად.**

განცხადებანი.

მიღება ხელის-მოყვრა 1896 წლისათვის ორპირველ გამოსვლათა პართულს

„მწემს“-ზე

რუსულ **« П А С Т Ы Р Ь »**-ზე

ქურნალის ფასი:

12 თვით «მწყემსი» 3 მ.	6 თვით «მწყემსი» 2 მ.
— „ორივე გამოცემა“ 1	— „ორივე გამოცემა“ 3
— „რუსული“ 3 მ.	— „რუსული“ 2

ისუიდება

საქველმოქმედად

თამარ-მეფის

და შოთა რუსთაველის

სახიანი

ფოსტის ქაღალდი


თბილისის და ქუთაისის ქართულ წიგნის მაღაზიებში

უზრჩალი თითო კაპიკად.

მოგებული თანხიდან ნახევარი შეეწირება **ზაპირ-სიტყვარების ფონდს** და ნახევარიც მონაწილეობა იაფფასიან და მუქთად დასარიკებელ სახალხო წიგნაკმების გამოცემას.

მსურველთ შეუძლიათ მოიკითხონ **«კვალის»** რედაქციაში, ან დაიბარონ ფოსტით დ. ყვირილიძემ მიხეილ ბარამაძისაგან.

მოკლეს ხანში გამოვა სსუა მოღვაწეების სახიანი ქაღალდიც.



სახელმძღვანელონი ღ სხვა საკითხავი წიგნები, დაწარალი იაკობ გოგება შვილის მიერ.

დედ. მინე, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, საერო და სამრევლო სკოლებში სახმარებელი, მე-11-ტე შეესებული გამოცემა, დაბეჭდილი წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. ამ გამოცემაში ყართულია თავში სახატავი სურათები და ბოლოში საწერა დედანი, ასე, რომ ამ წიგნის მხმარებელთ აღარ მოუნდებთ სეიდვა არც სახატავებისა და არც დედანისა. შასი ისევექესი შაურია, ყდით ორი აბაზი. მა წიგნი მოწონებულია და მართულის ენის სახელმძღვანელოდ დანიზნული განათლების სამინისტროს მიერ და უწმიდესის სინოდისაგან... მინე ერთად იყიდის ოც და ათს ან მეტს ცალსა, წიგნი დაეთმობა ხუთ შაურათ, ყდით 33 კაპ.

მინე მინე კარი, ანუ საკითხავი წიგნი, უმცროსს კლასში სახმარებელი, მერვე გამოცემა შემკული სურათებით და საქართველოს ქარტით, დაბეჭდილია წერა-კითხვის საზოგადოების მიერ. შასი ყდით ოთხ აბაზ უზალთუნი (90 კაპ.). უყდით ეს გამოცემა არ ისყიდება. მინე ერთად იყიდის ათს ცალსა, წიგნი დაეთმობა ოთხ აბაზად, ვინც ოცსა — თუხმეტ შაურად და ვინც ოც-და ათსა — თოთხმეტ შაურად. მს წიგნი მოწონებულია სამინისტროსაგან, როგორც «მშენებრი სახელმძღვანელო მართულის ენისა» და აგრეთვე უწმიდესი სინოდისაგან.

მინე მინე, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, გამოცემა მერვე, ფასი ორი შაური ნარდათ 8 კაპეიკი.

მინე საყმაწვილო მოთხრობათა ბუნების მეკნიერებიდგან, მეოთხე გამოცემა, სურათებიანი, ფასი ათი შაური. ვინც ნალდს ფულზედ იყიდს ათს ცალსა, ცხრა შაურად ძიეცემა წიგნი, ვინც ოცსა — ორ აბაზათ: წიგნი მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგანა.

მინე მინე, ანუ რჩეულთა ლექათა კრება მოზრდილ ყოძათათის, მეორე გამოცემა, ფასი ექვსი შაური. მოწონებულია სამინისტროსა და სინოდი აგან.

მინე მინე, ანუ საყმაწვილო მოთხრობანი, ფასი ორი აბაზი. მოწონებულია როგორც სამინისტროსაგან, ისე სინოდისაგან.

მინე მინე რა მინე? მოთხრობა მოზრდილი ყმაწვილებისათვის, მეორე სურათებიანი გამოცემა ფ. 10 კ.

საბრძოლველად? საყმაწვილო მოთხრობა, ფასი შაური. ასევე მინე საყმაწვილო მოთხრობა მეფე ერეკლეს სურათით, და ქარტით. მეორე გამოც. ფ. 10 კ.

მინე მინე უკუღმართობა, პუბლიცისტურ წერილი დედა-ენის მნიშველობის შეახებ კერძოდ აღაძინანს და ძიეფის ერის ცხოვრებასა და წარმატებაში, ფასი ერთი აბაზი...

თავდადებულნი მართვალნი, ისტორიულნი მოთხრობანი, დასურათებულნი, ფასი ორი შაური.

РУССКОЕ СЛОВО, часть первая, издание четвертое, цѣна тридцать копѣекъ, въ переплетѣ 40 копѣекъ.

РУССКОЕ СЛОВО, часть вторая, издание третье, цѣна 40 копѣекъ, въ переплетѣ 50 коп.

РУКОВОДСТВО для учащихся къ преподаванію русскаго языка по «Русскому Слову», цѣна 50 коп.

Обѣ части „Русскаго Слова“ одобрены въ качествѣ учебнаго руководства по русскому языку для грузинскихъ школъ, а „Руководство для учащихся“ одобрено для библиотекъ низшихъ и среднихъ учебныхъ заведеній всего Кавказскаго учебнаго округа, и то и другое одобрено учебнымъ Начальствомъ, съ утвержденья Господина Главноначальствующаго. (смотри „Сборникъ“ распоряженій по управленію Кавказскимъ Учебнымъ округомъ стр. 1965 и 1967)

Равнымъ образомъ одобрено и рекомендовано „Русское Слово“ духовнымъ учебнымъ Начальствомъ.

ყველა ეს წიგნები უმათერესად იყიდება: თბილისში წერა-კითხვის საზოგადოების მალაზიაში ქუთაისში: ბეჟანეშკილთან, ჭალაძესთან და ხეთერელთან, ბათუმში თავართქილაძესთან და კალანდაძესთან, ფოთში — ტულუშთან, ოზურგეთში და სენაკში თავართქილაძესთან, ლანჩხუთში ცინცაძესთან, სუქსუში ჭაჭაიანძესთან, ყვირილაში — არაბიძესთან, საჩხერეში ყოამან ჩხეძესთან, სურამში და ხაშურში შურაღიასთან, გორში — კლანდაძესთან, თელავში — მიხეილ ცისკარაშვილთან, სიღნაღში ამხანაგობის მალაზიაში, ვლადიკავკაზში მასწავლებელ ბოცვაძესთან. 15 — 8.

მ ი ნ ა ა რ ს ი

ოფიციალური განმარტება: უმაღლესი რესკრიპტები. — განჩინებანი უწმიდესი სინოდისა

სალიტერატურო განმარტება: გვირგვინისებრი ხელმწიფე იმპერატორისა და ხელმწიფე იმპერატრიცისი. — ტელეგრამები. — ქართული ვალობის მღვდმარობა. — საქართველოს ძველი დრთის თავგადასავალი. — ახალი ამბები და შენიშვნები. — შეწირულება. — განცხადებანი.